ოქმი:**ო02. 3722315001**

თარიღი:**11/11/2022**

ოქმი № 23

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2022 წელი, 11 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

11.30-12.00 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ჭაკნელიძე, ტ. აროშიძე, თ. ტუღუში, გ. სირაძე, გ. კილაძე, გ. შილაკაძე, ნ. სარჯველაძე, ნ. მახარაძე, ნ. ურუშაძე, ვლ. ხავთასი, ბ. კილაძე, ა. ღლონტი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე

თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

სხდომის თავმჯდომარემ, ბ. თოიძემ მოკლედ ისაუბრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ. საკითხთან დაკავშირებით, ვრცელი განმარტება გააკეთა პ.ჭყონიამ. აღნიშნა, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა წინა წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 32956,3 ათ.ლარი, რაც წლიური გეგმის 58,51%-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 29595,38 ათ.ლარი, რაც წლიური გეგმის 48,22%-ია.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ და

გადაწყვიტეს:

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ“ საკითხი შეტანილ იქნას ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე ცნობად მიღების მიზნით.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი